

მრეწველობის პროდუქციის ინდექსი (კვარტალური)

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
1	საკონტაქტო ინფორმაცია	
1.1	საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2	საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტი
1.3	საკონტაქტო პირი	ლევან ქარსაულიძე
1.4	საკონტაქტო პირის ფუნქცია	ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტის უფროსი
1.5	საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6	საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	lkarsaulidze@geostat.ge
1.7	საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 32 236 72 10 (302)
1.8	საკონტაქტო პირის ფაქსი	-
2	მეტამონაცემების განახლება	
2.1	მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება	2020 წ. 4 თებერვალი
2.2	მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება	2020 წ. 4 თებერვალი
2.3	მეტამონაცემების ბოლო განახლება	2020 წ. 4 თებერვალი
3	სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა	
3.1	მონაცემების აღწერა	საქართველოს ეროვნული ანგარიშების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროგაერთიანების სტატისტიკური სამსახურის (ევროსტატის), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდებული ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 2008 წლის (SNA-2008) სტანდარტული მეთოდოლოგია. ამჟამად მიმდინარეობს განახლებულ, 2008 წლის ვერსიაზე ეტაპობრივი გადასვლის სამუშაოები. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს მრეწველობის პროდუქციის ინდექსი.
3.2	კლასიფიკაციის სისტემა	<ul style="list-style-type: none"> • ეროვნული ანგარიშების სისტემა 2008 (SNA-2008); • ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი (სეკ 006-2016) (შემუშავებულია NACE Rev. 2-ბაზაზე); • პროდუქციის სტატისტიკური კლასიფიკაცია საქმიანობის სახეობათა მიხედვით - სეკ (CPA 2008).
3.3	სექტორის მოცვა	მთელი ეკონომიკა ინსტიტუციური სექტორებისა და ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით.
3.4	სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები	მთლიანი გამოშვება არის დროის გარკვეულ პერიოდში ეროვნული ეკონომიკის მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების მთლიანი მოცულობა საბაზრო ფასებში.

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		<p>მთლიანი გამოშვების შეფასება მოცემულია საქონლისა და მომსახურების მწარმოებლის საბაზრო ფასებში, რითაც ფაქტობრივად ხორციელდება წარმოებული საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია, პროდუქციაზე დარიცხული გადასახადების ჩათვლელად.</p> <p>მრეწველობის პროდუქციის ინდექსი ასახავს სამრეწველო სფეროში შექმნილი პროდუქციის მოცულობის ცვლილებას.</p>
3.5	სტატისტიკური ერთეული	<ul style="list-style-type: none"> • ფინანსური და არაფინანსური კორპორაციები; • სახელმწიფო მმართველობის ორგანოები; • შინამეურნეობები; • შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები (შმაკო).
3.6	სტატისტიკური პოპულაცია	ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორია.
3.7	საანგარიშო არეალი	საქართველო (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა).
3.8	დროის მოცვა	2001 წლიდან. დროთი მწკრივები ეროვნული ანგარიშების სისტემა 2008 წლის (SNA 2008) მეთოდოლოგიით ხელმისაწვდომია 2010 წლიდან.
3.9	საბაზო პერიოდი	2015.
4	ზომის ერთეული	ინდექსი (2015 წელი = 100).
5	საანგარიშო პერიოდი	კვარტალი.
6	ინსტიტუციური მანდატი	
6.1	სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები	<p>საქართველოს კანონი "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ"; https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა; https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება. https://www.geostat.ge/media/20600/10%2Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf</p>
6.2	მონაცემთა გაზიარება	• მემორანდუმები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან და ეროვნულ ბანკთან.
7	კონფიდენციალურობა	
7.1	კონფიდენციალურობა–პოლიტიკა	<p>1. საქართველოს კანონი "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ":</p> <ul style="list-style-type: none"> • კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლის მიერ სტატისტიკური მიზნებისათვის შეგროვებული, ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ მონაცემები მკაცრად კონფიდენციალურია და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის გამოიყენება. • კანონის 28-ე მუხლის (სტატისტიკურ მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, 1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ისინი იძლევა დაკვირვების ერთეულის იდენტიფიცირების საშუალებას ან თუ მათი მეშვეობით შესაძლებელია ამგვარი

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		<p>მონაცემების დადგენა. 2. დაუშვებელია კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გაცემა და გავრცელება ან მათი არასტატისტიკური მიზნით გამოყენება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა. 3. ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისას სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებით საიდენტიფიკაციო მონაცემების, მათ შორის, ასეთი მონაცემების შემცველი სტატისტიკური კვლევის ამსახველი კითხვარების განადგურება ან განცალკევებით შენახვა.</p> <ul style="list-style-type: none"> • კანონის 29-ე მუხლის თანახმად, საქსტატის ორგანოებში დასაქმებულებს ეკრძალებათ სტატისტიკური კვლევის მიზნით შეგროვებული და დამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გამოყენება და გავრცელება. <p>https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf</p> <p>2. „მონაცემების კონფიდენციალურობის პოლიტიკა საქსტატში“ https://www.geostat.ge/media/20607/17.konfidencialurobis-brzaneba.pdf</p> <p>3. „საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების გავრცელების პოლიტიკა საქსტატში“ https://www.geostat.ge/media/20609/19.microdata-brzaneba.pdf</p> <p>4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437</p>
7.2	კონფიდენციალურობა–მონაცემებთან მოპყრობა	<ul style="list-style-type: none"> • კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები. • საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.
8	გამოქვეყნების პოლიტიკა	
8.1	გამოქვეყნების კალენდარი	მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკურ სამუშაოთა კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.
8.2	გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა	https://geostat.ge/ka/calendar
8.3	მომხმარებელთა ხელმისაწვდომობა	მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.
9	გავრცელების სიხშირე	კვარტალური.
10	ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა	
10.1	პრეს-რელიზები	-
10.2	პუბლიკაციები	<p>სტატისტიკური კრებული "საქართველოს ეროვნული ანგარიშები" ქართულ და ინგლისურ ენებზე. ელექტრონული ვერსია:</p> <p>https://geostat.ge/ka/single-categories/113/sakartvelos-mtliani-shida-produkti</p> <p>https://geostat.ge/en/single-categories/113/gross-domestic-product-of-georgia</p>
10.3	ონლაინ მონაცემთა ბაზა	მონაცემები „MS. Excel“-ის ცხრილების სახით ხელმისაწვდომია საქსტატის ოფიციალურ ვებ-საიტზე სტატისტიკური

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		ინფორმაციის ნაწილში „ეროვნული ანგარიშების“ განყოფილებაში „მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)“-ს ჩანართში: https://geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp მონაცემები “PC-Axis”-ის ბაზის სახით ხელმისაწვდომია საქსტატის ოფიციალურ ვებ-საიტზე მონაცემთა ბაზები „PC-Axis“ ნაწილში „ეროვნული ანგარიშები“-ს განყოფილებაში „მთლიანი შიდა პროდუქტი“-ს ჩანართში: http://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database
10.4	მიკრომონაცემებზე ხელმისაწვდომობა	არ არის ხელმისაწვდომი.
10.5	სხვა	-
10.6	დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე	მეთოდოლოგიის დოკუმენტაცია განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://geostat.ge/ka/modules/categories/119/methodologia-erovnuli-angarishebi
10.7	დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ	-
11	ხარისხის მართვა	
11.1	ხარისხის უზრუნველყოფა	სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით „ოფიციალური სტატისტიკის ძირითადი პრინციპები“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (QAF).
11.2	ხარისხის შეფასება	საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს და აფასებს სტატისტიკურ პროდუქტებთან და პროცესებთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას.
12	შესაბამისობა	
12.1	მომხმარებელთა მოთხოვნები	მომხმარებელთა ძირითად ჯგუფებს წარმოადგენენ სახელისუფლებო ორგანოები, მეცნიერ-მკვლევარები, სასწავლო დაწესებულებები, საერთაშორისო ორგანიზაციები და ნებისმიერი მომხმარებელი, ვინც დაინტერესებულია საქართველოს ეკონომიკის განვითარების ტენდენციებით, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებითა და პროგნოზირების საკითხებით.
12.2	მომხმარებელთა კმაყოფილება	2019 წლის ოქტომბერში ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასების ანალიზი და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების გზების შესწავლა. გამოკვლევის ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/single-news/1746/statistikuri-informatsiis-momkxmarebelta-kmaqofilebis-gamokvleva-2019-tseli
12.3	სისრულე	მაჩვენებლები ხელმისაწვდომია ქვეყნის დონეზე მრეწველობის სამი ძირითადი საქმიანობის სახის (სამთომომპოვებითი მრეწველობა, დამამუშავებელი მრეწველობა, ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება) მიხედვით და შესაბამისობაშია საერთაშორისო მეთოდოლოგიით დადგენილ სტანდარტებთან.

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
13	სიზუსტე და სანდოობა	
13.1	ზოგადი სიზუსტე	-
13.2	შერჩევითი ცდომილება	-
13.3	არაშერჩევითი ცდომილება	-
14	დროულობა და პუნქტუალურობა	
14.1	დროულობა	<p>სეზონურად შეუსწორებელი მრეწველობის პროდუქციის ინდექსის კვარტალური მონაცემების გამოქვეყნება და განახლება შემდეგი თანმიმდევრობით ხორციელდება:</p> <ul style="list-style-type: none"> • კვარტალური წინასწარი მონაცემები თავდაპირველად ქვეყნდება საანგარიშო კვარტალის დასრულებიდან 85-ე დღეს; • გასული წლის წლიური მონაცემების მიღების შემდეგ, იმავე წლის ოთხი კვარტალის მაჩვენებლების დაზუსტებასთან ერთად ხორციელდება მიმდინარე წლის პირველი და მეორე კვარტალების მაჩვენებლების გადაანგარიშება; • საანგარიშო წლის წლიური მონაცემების მიღების შემდეგ საბოლოოდ ზუსტდება კვარტალური მაჩვენებლები და მათი გამოქვეყნება ხდება საანგარიშო წლის დასრულებიდან მე-11 თვეს (საანგარიშო წლის შემდგომი წლის 16 ნოემბერს). <p>სეზონურად შესწორებული მრეწველობის პროდუქციის ინდექსის მთლიანი დინამიკური მწკრივი ახლდება კვარტალური პერიოდულობით.</p>
14.2	პუნქტუალურობა	მონაცემთა გამოქვეყნება ხდება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამაში მითითებული თარიღის შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.
15	თანამიმდევრულობა და შესადარისობა	
15.1	შესადარისობა – გეოგრაფიული	მონაცემები გროვდება და მუშავდება ერთი და იგივე მეთოდოლოგიითა და განმარტებებით როგორც ქვეყნის, ისე რეგიონულ დონეზე.
15.2	შესადარისობა – დროში	მონაცემები გროვდება და მუშავდება ერთი და იგივე მეთოდოლოგიითა და განმარტებებით მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში.
15.3	თანამიმდევრულობა – სტატისტიკურ მიმართულებებს შორის	-
	თანამიმდევრულობა – შიდა	-
16	დანახარჯები და დატვირთვა	-
17	მონაცემთა გადასინჯვა	
17.1	მონაცემთა გადასინჯვა – პოლიტიკა	სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/media/20610/20.Revision-policy_Geostat_20-July_final.pdf
17.2	მონაცემთა გადასინჯვა – პრაქტიკა	სტატისტიკური მაჩვენებლების დინამიკური მწკრივები დროთა განმავლობაში საჭიროებენ დაზუსტებას. ამის საჭიროება შეიძლება დადგეს ზოგადად მეთოდოლოგიის ცვლილების ან რაიმე კონკრეტული მონაცემთა წყაროს

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		<p>გაუმჯობესების შედეგად. ახალი გამოკვლევის ჩატარების შედეგად მიღებული შედეგები შესაძლოა მკვეთრად განსხვავდებოდეს წინა პერიოდის მაჩვენებლებსაგან. ამ შემთხვევაში პრიორიტეტი ენიჭება ახალ მონაცემებს, მაგრამ დინამიკური მწკრივის შესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა წინა პერიოდების შესწორებაც.</p> <p>სებონურად შეუსწორებელი მრეწველობის პროდუქციის ინდექსის კვარტალური მონაცემების გამოქვეყნება და განახლება შემდეგი თანმიმდევრობით ხორციელდება:</p> <ul style="list-style-type: none"> • კვარტალური წინასწარი მონაცემები თავდაპირველად ქვეყნდება საანგარიშო კვარტალის დასრულებიდან 85-ე დღეს; • გასული წლის წლიური მონაცემების მიღების შემდეგ, იმავე წლის ოთხი კვარტალის მაჩვენებლების დაზუსტებასთან ერთად ხორციელდება მიმდინარე წლის პირველი და მეორე კვარტალების მაჩვენებლების გადაანგარიშება; • საანგარიშო წლის წლიური მონაცემების მიღების შემდეგ საბოლოოდ ზუსტდება კვარტალური მაჩვენებლები და მათი გამოქვეყნება ხდება საანგარიშო წლის დასრულებიდან მე-11 თვეს (საანგარიშო წლის შემდგომი წლის 15 ნოემბერს). <p>სებონურად შესწორებული მრეწველობის პროდუქციის ინდექსის მთლიანი დინამიკური მწკრივი ახლდება კვარტალური პერიოდულობით.</p> <p>დინამიკური მწკრივები დაზუსტდა SNA 2008 მეთოდოლოგიაზე გადასვლის პარალელურად.</p> <p>SNA 2008 მეთოდოლოგიაზე გადასვლის პარალელურად განხორციელდა ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის NACE Rev. 2-ის დანერგვა ეროვნულ ანგარიშებში. ასევე, დაზუსტდა ცალკეული დარგების გამოშვების გაანგარიშების მეთოდოლოგიაც, რამაც გამოიწვია დროითი მწკრივის განახლების საჭიროება. 2019 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა მეთოდოლოგიის ცვლილებებით გამოწვეული განახლებული მონაცემთა მწკრივები.</p>
18	სტატისტიკური დამუშავება	
18.1	პირველადი მონაცემები	<p>მონაცემთა წყაროს წარმოადგენს საქსტატის დეპარტამენტების მიერ განხორციელებული კვლევები და ადმინისტრაციული მონაცემები</p> <p>საქსტატის შიდა წყაროებიდან მიღებული მონაცემები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მონაცემები არაფინანსური კორპორაციების ეკონომიკური საქმიანობის შესახებ (საქსტატის ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტის საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა); • მონაცემები შინამეურნეობების ეკონომიკური საქმიანობის შესახებ და მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის ამსახველი მაჩვენებლები (საქსტატის სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტის შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა და სტატისტიკური გამოკვლევა - მონაცემები შრომის შესახებ); • სამომხმარებლო ფასების (CPI), სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების (PPI), მშენებლობისათვის შექმნილი მასალების ფასების და სატვირთო გადაზიდვებზე მწარმოებელთა ფასების ინდექსები (საქსტატის ფასების სტატისტიკის დეპარტამენტის ყოველთვიური გამოკვლევა).

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
18.2	მონაცემთა შეგროვების სიხშირე	კვარტალური, წლიური.
18.3	მონაცემთა შეგროვება	საქსტატის დეპარტამენტების მონაცემთა ბაზები და ადმინისტრაციული წყაროების მიერ მოწოდებული ცხრილები.
18.4	მონაცემთა კონტროლი	ცალკეულ შემთხვევებში მონაცემთა სისწორის გადამოწმება ხდება მონაცემთა წყაროსთან.
18.5	მონაცემთა გაანგარიშება	<p>ინფორმაციის შიდა და გარე წყაროებიდან მიღებული მონაცემები მუშავდება ეროვნული ანგარიშებისათვის საჭირო ფორმატში.</p> <p>მრეწველობის პროდუქციის ინდექსის გაანგარიშება ხორციელდება მრეწველობაში შექმნილი პროდუქციის მთლიანი გამოშვების დეფლირების გზით.</p> <p><i>პროდუქციის მთლიანი გამოშვება საბაზისო ფასებში=ბრუნვა+კაპიტალიზებული საქონელი და მომსახურება-დანახარჯები გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებზე+სუბსიდიები პროდუქტებზე +/-დაუმთავრებელი წარმოების მოცულობის ცვლილება+/-მზა პროდუქციის მარაგების ცვლილება+/-გადასაყიდად განკუთვნილი საქონლის მარაგების ცვლილება.</i></p> <p>ვაჭრობაში, საშუაშალო საქმიანობაში, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის მიწოდებაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში (მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში) პროდუქციის გამოშვება არის საწარმოს მიერ რეალიზებული საქონლისა (მომსახურების) და მისი ნასყიდობის (შეძენის) ღირებულებებს შორის სხვაობა.</p> <p>დეფლირების შედეგად თითოეული პერიოდის მთლიანი გამოშვება გამოისახება საბაზისო წლის ფასებში. სამრეწველო სფერო მოიცავს NACE rev.2 კლასიფიკატორის B (სამთომოპოვებითი მრეწველობა), C (დამამუშავებელი მრეწველობა) D (ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება) და E (წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები) სექციებს. დეფლირების დროს გამოყენებულია სამრეწველო პროდუქციის ფასების ინდექსები (PPI) თითოეული სექციის მიხედვით.</p> <p>სეზონურობის ფაქტორის და მასთან დაკავშირებული მერყეობების გამოსარიცხად ხორციელდება საბაზისო წლის ფასებში გაანგარიშებული მრეწველობის პროდუქციის ინდექსის სეზონური შესწორება. დინამიკური მწკრივების სეზონური შესწორებისას გამოიყენება „Tramo/Seats“ მეთოდი, რომელსაც ითვალისწინებს ავტომატიზებული პროგრამა “JDemetra +”.</p>
18.6	მოსწორება	სეზონურობის ფაქტორის და მასთან დაკავშირებული მერყეობების გამოსარიცხად ხორციელდება საბაზისო ფასებში გაანგარიშებული კვარტალური მრეწველობის პროდუქციის ინდექსის სეზონური შესწორება საქმიანობის სახეების მიხედვით. დინამიკური მწკრივების სეზონური შესწორებისას გამოიყენება „Tramo/Seats“ მეთოდი, რომელსაც ითვალისწინებს ავტომატიზებული პროგრამა “JDemetra +”.
19	კომენტარი	-